საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-669

15/09/2022

ქ. თბილისი

შპს „მ.ნ. ფექთორზე“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „პარტნიორზე“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 13 სექტემბრის N21/5163 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მ.ნ.ფექთორზე“ (ს/კ:415601147) სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, „შპს „პარტნიორის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს №2-1181 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „პარტნიორს“ (ს/კ:406084954).

2. შპს ,,პარტნიორმა“ უზრუნველყოს „შპს „პარტნიორის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 3 აგვისტოს №2-1181 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „მ.ნ.ფექთორს“ და შპს „პარტნიორს“.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მ.ნ.ფექთორის“ და შპს „პარტნიორის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი